

შპს „ბრაუნი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6-16

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

ფინანსური მდგომარეობა		2021	2020
მიმდინარე აქტივები:			
ფული და ფულის ეკვივალენტი	1	475 452	563 383
სავაჭრო მოთხოვნები	2	93 010	205 720
მარაგები	3	2 312 545	1 958 370
გადახდილი ავანსები		559 450	838 218
სულ მიმდინარე აქტივები		3 440 457	3 566 814
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები			
საინვესტიციო ქონება	4	1 344 571	1 555 349
(აღრე წარდგენილი 1 555 349 ის შემადგენლობაში)		291 622	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 636 193	1 555 349
სულ აქტივები		5 076 650	5 122 163
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	2 514 538	3 018 738
საგადასახადო ვალდებულებები		0	0
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე წილი	6	64 963	0
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2 579 501	3 018 738
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	6	1 044 400	529 178
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 044 400	529 178
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		0	0
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		1 452 749	1 574 247
მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)		0	0
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		5 076 650	5 122 163

დირექტორი:

ქო. ნახუშვილი



მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარი)

საქმიანობის შედეგი		2021	2020
ამონაგები:			
საქონლის გაყიდვიდან	7	2 219 473	3 117 555
მომსახურების გაწევიდან	7	83 220	62 364
სულ ამონაგები		2 302 693	3 179 919
პირდაპირი დანახარჯები:			
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(981 775)	(1 596 999)
გაწეული მომსახურების თვითღირებულება		(0)	(0)
სულ პირდაპირი ხარჯები		(981 775)	(1 596 999)
საერთო მოგება			
		1 320 918	1 582 920
არაპირდაპირი ხარჯები:			
დასაქმებულთა ანაზღაურება	9	(99 495)	(368 107)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	9	(49 265)	(278 619)
სულ საოპერაციო ხარჯები		(148 760)	(646 726)
საოპერაციო მოგება			
		1 172 158	936 194
ცვეთა და ამორტიზაცია	9	(38 020)	(17 225)
საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი)	8	(-)	(37 646)
სხვა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	11	49 240	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(9 728)	75 554
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		1 173 650	956 877
მოგების გადასახადი		170 935	145 531
მოგება/(ზარალი)		1 002 715	813 346
სხვა შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		1 002 715	813 346

დირექტორი:
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი		1 031 195	1 031 195
პერიოდის სრული შემოსავალი		813 346	813 346
გაცემული დივიდენდი	-	(270 294)	(270 294)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)		-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	0	1 574 247	1 574 247
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1 002 715	1 002 715
გაცემული დივიდენდი	-	(1 124 213)	(1 124 213)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	0	1 452 749	1 452 749

დირექტორი:





1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბრაუნი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2014 წლის 13 ნოემბერს, თუმცა აქტიური ოპერირება დაიწყო 2015 წლის ბოლოდან. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 406131662.

ძირითადი საქმიანობა. შპს ბრაუნის ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა. 2015-2016 წლებში კომპანია ბრაუნმა მოახდინა მხოლოდ ერთი 10 სართულიანი კორპუსის აშენება სამგორის რაიონში, ხოლო 2017-2018 წლებში ააშენა ორი იდენტური კორპუსი დიდლოში, დავარის ქ #21-ში. 2019 წლის განმავლობაში თითქმის დაასრულა ქ თბილისი, დავარის #21- ში არსებული მშენებლობა. 2020 წლის განმავლობაში კომპანიამ დაასრულა მშენებლობა დავარის ქ #21 და ბინების დიდი ნაწილის რეალიზაცია მოახდინა. 2021 წელს კომპანიამ დაიწყო მშენებლობა ქ თბილისი, სუხიშვილის ქ#7. კომპანიაში საანგარიშგებო წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 10-12 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილისა და კოპცოვის ქუჩის გადაკვეთაზე/კახეთის გზატკეცილის, მიმდებარედ (ნაკვეთი 58/007), კახეთის გზატკეცილის, მიმდებარედ (ნაკვეთი 58/008)

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მფლობელები იყვნენ:

1. 40001005656, ლევან ნასყიდაშვილი 25%
2. 40001005176, ტარიელ ნასყიდაშვილი 25%
3. 40001004626, ავთანდილ ნასყიდაშვილი 25%
4. 40001033049, ირაკლი ნასყიდაშვილი 25%

კომპანიის დირექტორია ლევან ნასყიდაშვილი.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით ნაწილი 35 „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“. სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმისთვის რომ კომპანიამ შეძლოს მსს ფასს-ის სრულად შესაბამისი ანგარიშგების მომზადება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შესაბამისად, აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება განიხილება, რომ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს რომელიც მომზადებულია მსს ფასს- თან სრულ შესაბამისობაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის გამოყენება.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული პერიოდისთვის სრული შემოსავლის ანგარიშგებას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას. ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის	
	ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040
2022 წლის 1 იანვარი	3.0892	3.4991

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის/მიწოდებულის საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ

პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

საინვესტიციო ქონება.

საინვესტიციო ქონების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი. საინვესტიციო ქონებას ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, საბალანსო და ნარჩენ სალიკვიდაციო ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო მომსახურის ვადის გათვალისწინებით.ამასთან ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როცა როცა დაიწყო საინვესტიციო ქონების გამოყენება

თუ კონკრეტული ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო მომსახურების ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

- შენობა-ნაგებობები --- 5%
- საინვესტიციო ქონება -- 5%
- მანქანა დანადგარები-- 20%
- ავეჯი და სხვა ინვენტარი-- 20%
- ახვა ძირითადი საშუალებები-20%

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წლიური 15%-ით

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის/მიწოდებული საქონლის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით.

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ

შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება შემცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. საანგარიშგებო თარიღებისთვის არ იდენტიფიცირებულა გაუფასურების ნიშნების მქონე სავაჭრო მოთხოვნები ან სხვა ფინანსური აქტივები.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

შენიშვნა 1

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	56,996	383,819
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	94,457	55,525
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	323,999	124,039
სულ	475,452	563,383

შენიშვნა 2

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები	-	205,720
გაცემული ავანსები	93,010	441,585
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	-	-
სულ	93,010	647,305

შენიშვნა 3

მარაგები

	31.12.2021	31.12.2020
ნედლეული და მასალები	450,551	7,783
დაუმთავრებელი წარმოება	971,529	(120)
მზა პროდუქცია	859,123	1,931,386
სათადარიგო ნაწილები	31,342	19,321
სხვა მარაგები	-	-
სულ	2,312,545	1,958,370

შენიშვნა 4
ძირითადი საშუალებები

ლარში	შენობა - ნაგებობები	საინვესტიციო ქონება	მანქანა- დანადგარები	ავტო და სხვა ინვენტარი	არამატერიალური აქტივები	მიწის ნაკვეთი	ჯამი
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	285 239	0	8940	96 173	932	1 252 556	1 643 840
შესყიდვა/გასვლა	(175 450)	291 622	-	2673	-	-	118 845
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	109789	291 622	8940	98 846	932	1 252 556	1 762 685
დაგროვილი ცვეთა							
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	45 404	0	4642	38 161	284	-	88 491
ცვეთის ხარჯი	3218	12 138	860	21706	97		38 019
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	(32 884)			(18)			(32 902)
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	15 739	12 138	5502	59 850	380		93 609
ნარჩენი საბალანსო ღირებულება							
2020 წლის ბოლოს	239 835	0	4298	58 012	648	1 252 556	1 555 349
2021 წლის ბოლოს	61 167	279 484	3438	38997	551	1 252 556	1 636 193

შენიშვნა 5
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო ვალდებულებები	9,939	54,131
მიღებული ავანსები	2,691,921	3,092,110
გადასახდელი ხელფასი	-	-
სულ	2,701,860	3,146,241

შენიშვნა 6
მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტი

მოკლევადიანი სესხები	31.12.2021	31.12.2020
მოკლევადიანი სესხები	-	-
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	64,963	-
გადასახდელი პროცენტი	-	-
სულ მოკლევადიანი სესხები	64,963	-

გრძელვადიანი სესხები	31.12.21	31.12.2020
გრძელვადიანი სესხები	1,044,400	529,178
სულ გრძელვადიანი სესხები	1,044,400	529,178
სულ სესხები	1,109,363	529,178

შენიშვნა 7 ამონაგები	31.12.2021	31.12.2020
საქონლის რეალზაციიდან მიღებული ამონაგები	2,219,473	3,117,555
მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები	83,220	62,364
სულ	2,302,693	3,179,919

შენიშვნა 8 სხვა შემოსავლები	31.12.2021	31.12.2020
საპროცენტო შემოსავალი	177	1,551
სხვა შემოსავალი	89,708	66,804
სულ	89,885	68,355

შენიშვნა 9 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	31.12.2021	31.12.2020
შრომის ანაზღაურება	(99,495)	(368,366)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(38,019)	(17,225)
ქონების გადასახადის ხარჯი	(4,524)	(4,992)
საბანკო ხარჯი	(3,776)	(9,204)
დაცვის ხარჯი	(20,362)	-
კომუნიკაციის ხარჯი	(5,178)	(1,061)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	(15,277)	(606)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(148)	(499)
სულ	(186,779)	(401,953)

შენიშვნა 10

სხვა ხარჯები

	31.12.2021	31.12.2020
სხვა ხარჯები	(763)	(3,879)
სულ	(763)	(3,879)

შენიშვნა 11

ფინანსური დანახარჯები

	31.12.2021	31.12.2020
საპროცენტო ხარჯი	(40,645)	(37,646)
სულ ფინანსური დანახარჯები	(40,645)	(37,646)

შენიშვნა 12

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2021 წლის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები

1. 40001005656, ლევან ნასყიდაშვილი 25%
2. 40001005176, ტარიელ ნასყიდაშვილი 25%
3. 40001004626, ავთანდილ ნასყიდაშვილი 25%
4. 40001033049, ირაკლი ნასყიდაშვილი 25%

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დაკავშირებულ მხარებთან ოპერაციები არ განხორციელებულა.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	31.12.2021	31.12.2020
შრომის ანაზღაურება მთლიანად	84438	340210
სულ	84438	340210

შენიშვნა 13

პირობითი ვალდებულება

კომპანიას სასამართლოში შეტანილი არ აქვს სარჩელები და არ აქვს სასამართლო დავები.

შენიშვნა 14

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2021 წელს დამფუძნებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება წინა წლის დივიდენდის ნაწილობრივ განაწილების შესახებ;